საგანი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

2017-2018 სასწავლი წელი, შემოდგომის სემესტრი

პროფ. მაია კოპალეიშვილი

შუალედური გამოცდა ჩატარდება შერეული ფორმით,

<u>ერთი თეორიული საკითხი და ერთი კაზუსის ამოხსნა.</u>

თითოეული შეფასდება 15-15 ქულის ფარგლებში. Cგამოყოფილი დრო 3 (სამი) სთ.

საკითხები მოვა ვარიანტების მიხედვით. შესაძლებელია რამდენიმე საკითხი გაერთიანდეს ან რომელიმე გაიყოს. სტუდენტი ვარიანტში მითითებული ოთხი საკითხიდან საკუთარი არჩევანით

დაწერს მხოლოდ რომელიმე ერთ საკითხს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება რამდენად სრულად პასუხობს ტექსტი საკითხს.

შენიშვნა: სტუდეტს ევალება საკითხები მოამზადოს როგორც სახელმძღვანელოდან ასევე კოდექსიდან.

კაზუსი უნდა ამოიხსნას სქემის მიხედვით. ამასთან, რადგან საკმარისი მასალა ჯერ არ არის შესწავლილი, კაზუსის ამოხსნა მოხდება მხოლოდ შემდეგ საკვანძო საკითხების მიხედვით:

1.ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დადგენა;
2. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენა.

1. საჯარო მმართველობის ცნება და არსი, საჯარო მმართველობის ელემენტები, ორგანიზაციული მოწყობა, ელექტრონული მმართველობა, ადმინისტრაციული ორგანო, თანამედროვე სახელმწიფო, როგორც მმართველი სახელმწიფო.
2. ადმინისტრაციული სამართლის სისტემა, წყაროები, ადმინისტრაციული სამართლის და კერძო სამართლის გამიჯვნა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო.
3. დისკრეციული უფლებამოსილება, ცნება და არსი, საფუძვლები, შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და მისი სამართლებრივი შედეგები, განუსაზღვრელი ცნებები, შეფასების თავისუფალი სივრცე.
4. კანონიერების პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობა, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საქვეყნოობა და საიდუმლოობა, თანაზომიერების პრინციპი, კეთილსინდისიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპი.

5. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების მნივნელობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება და მნიშვნელობა, ცნების ელემენტების განმარტების სასამართლოს პრაქტიკა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეები, ოფიციალური გაცნობა.
6. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა, კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ფორმალური კანონიერება, მატერიალური კანონიერება, უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არარა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
7. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების გამიჯვნა ადრესატზე მათი სამართლებრივი შედეგების მიხედვით, ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნება.
8. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია.
9. ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, ამკრძალავი (მავალებელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.
10. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება.
11. რეალაქტის ცნება, გამოვლენის ფორმები, სამართლებრივი საფუძვლები.
12. ადმინისტრაციული ნების გამოვლება.
13. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, მისი საკანონმდებლო საფუძველი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება, ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან. ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ბათილობა.